ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
24 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.24
0186 თბილისი, საქართველო

ს/ს ენერგო-პრო ჯორჯია
O.№ 26014073
„30" 04 2024
JSC ENERGO-PRO GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ბატონ ვასილ გედევანიშვილს
მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის 150.

ბატონო ვასილ,

თქვენი 2024 წლის 7 მარტის N21/2385 და 2024 წლის 20 მარტის N21/2838 წერილების პასუხად, რომელიც ეხება 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ლენტეხი-ჩოლურის" აღდგენაზე გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას, გიგზავნით მოთხოვნილ ინფორმაციას (პუნქტების მიხედვით):

- „გზშ-ის ანგარიშში ჰიდროლოგიური ნაწილი წარმოდგენილია არასრულფასოვნად, გათვლები გაკეთებულია არა საპროექტო ტერიტორიისათვის არამედ მოცემულია ზოგადად მდინარე ცხენისწყლის სხვა მონაკვეთის მონაცემები, კერძოდ: გზშ-ის ანგარიშში (თავი 4.1.6) წარმოდგენილია რცხმელური ნაგომრის საგუშაგოს მონაცემები, რომელიც კავშირში არ არის და საკმაოდ დაშორებულია საპროექტო ტერიტორიიდან. ჰიდროლოგიური მონაცემები გმაში უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიასთან, ან ანალოგად გადატანილი ან ჰიდროლოგიაში გამოყენებული მეთოდოლოგიით გათვლილი და ა.შ. ასევე, გაუგებარია და დაზუსტებას საჭიროებს რა კავშირშია გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი „ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. მელეს მიმდებარედ მდ.ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარე მყარი ნარჩენების პოლიგონის დამცავი ნაგებობის .პროექტის" ჰიდროლოგიური ანგარიში, რომელიც დიდი მანძილით არის დაშორებული საპროექტო ტერიტორიიდან;"
- „წარმოდგენილი უნდა იყოს მდინარის კალაპოტთან ახლოს მდგომ ანძებთან წყლის მაქსიმალური ხარჯები, შესაბამისი დონეები, გარეცხვის სიღრმეები და საჭიროების შემთხვევაში ნაპირდაცვის ღონისძიებები. გათვლები გაკეთებული უნდა იყოს კონკრეტული ანძებისთვის;"

ხარვეზის წერილის პირველი ორი პუნქტი ეხება ჰიდროლოგიას, შესაბამისად პირველი პუნქტის შესაბამისად, დოკუმენტიდან ამოღებულ იქნა მითითებული ინფორმაცია და მეორე პუნქტის შესაბამისად ჩატარდა დამატებითი ჰიდროლოგიური საველე კვლევა, რომლის ანგარიშიც წარმოდგენილია დანართი N4-ში.

- „N23 სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პოზიციისა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენას, სკოპინგის დასკვნაზე რეაგირების ცხრილში აღნიშნულია, რომ „ეგხ ეპგ-ს საკუთრებაა და არ საჭიროებს შეთანხმებას საავტომობილო გზების დეპარტამენტთან". ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მხრიდან 2024 წლის 7 მარტს გარემოს ეროვნულ

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
30 - 04 2024 წ.
№ 4466

სააგენტოში შემოსული N 21/23 85 წერილის თანახმად, საქმიანობის განხორციელებისათვის საჭიროა განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესრულება. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენას;"

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" მიერ გათვალისწინებული იქნება საავტომობილო გზების დეპარტამენის N 21/23 85 წერილში მითითებული მოთხოვნები.

- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია მოიცავს პოლიმეტალების გამოვლინების კონტურს. „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სსიპ-მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს აღნიშნული პროექტი, იმ პირობით თუ აღნიშნულ ტერიტორიაზე არ შეიზღუდება წიაღითსარგებლობის ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობა. შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა წარმოდგენილი იყოს პოზიცია;"

აღნიშნულ პუნქტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ კომპანია სს „ენერგო-პრო ჯორჯია", არ შეზღუდავს წიაღით სარგებლობის ლიცენზიის გაცემას აღნიშნულ ტერიტორიაზე.

- „2024 წლის 1 და 2 თებერვალს, დაბა ლენტეხში და სოფ.თეკალში გამართულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვების მსვლელობისას, დამსწრე საზოგადოების მხრიდან აღინიშნა რომ მოსახლეობის ელ. ენერგიის უზრუნველყოფისთვის ასევე მნიშვნელოვანია შესაბამისი ტრანსფორმატორების მოწყობა. საჭიროა წარმოდგენილი იქნას დამატებითი ინფორმაცია."

აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოდგენილია კომპანია სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" 2024 წლის 12 მარტის N20011119 წერილით(დანართი N13).

დანართი: N4 - ჰიდროლოგიური კვლევის ანგარიში;
N13 - წერილი N20011119.

პატივისცემით,

გრიგოლ მამისეიშვილი
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

შემსრ.: მარიამ ღვინიანიძე /ტელ: 577 35 05 77